

# პრაქტიკული მითითება №1

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

## უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი

### შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი უსაფრთხოების სექტორის  
რეფორმისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის  
რეფორმაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები უსაფრთხოების სექტორის  
რეფორმის შეფასებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო),  
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების  
საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უნივერსიტეტი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის უფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს“ ეფუძნება და ორივე მათგანი გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია*.

## რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთვის?

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ნიშნავს უსაფრთხოების სექტორის/სისტემის გარდაქმნას, „რომელიც ყველა მონაწილე მხარეს, მათ ფუნქციებს, ვალდებულებებსა და ქმედებებს მოიცავს – ვინც ერთად მუშაობს იმისთვის, რომ სისტემა მართოს და ამოქმედოს ისე, რომ ეს უფრო შეესაბამებოდეს დემოკრატიულ ნორმებს და კარგი მმართველობის ჯანსაღ პრინციპებს, ამგვარად კი წვლილი შეიტანოს კარგად ფუნქციონირებად უსაფრთხოების ჩარჩოში“<sup>1</sup>. უსაფრთხოების სექტორი/სისტემა მოიცავს შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, დაზვერვას და საზღვრის მართვის სამსახურებს, ზედამხედველობით ორგანოებს, როგორიცაა პარლამენტი და მთავრობა, მართლმსაჯულების და პენიტენციალური სისტემები, უსაფრთხოების ძალები, რომლებიც კანონით არაა გათვალისწინებული და სამოქალაქო ჯგუფები.

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიღებებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი“ შესაბამისად ნიშნავს გაცნობიურებულ განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი“ ბიოლოგიურ განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის აღამიანებს შორის.

<sup>1</sup> OECD DAC, უსაფრთხოების სისტემის რეფორმა და მმართველობა, DAC სახელმძღვანელო პრინციპების და მასალების სერია, (OECD: პარიზი), გვ. 20.

<http://www.oecd.org/dataoecd/8/39/31785288.pdf>

გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა შეოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

გენდერის საკითხების ინტენსიური უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესსა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციებში სხვადასხვა საკითხს აძლიერებს:

### ადგილობრივი მფლობელობა

ლეგიტიმური და მდგრადი უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ადგილობრივ და მონაწილეობით პროცესზეა დაფუძნებული.

- გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესი უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებას და პრიორიტეტებს განიხილავს, რისთვისაც კონსულტაციებს მართავს ხოლმე მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან.
- ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ უმნიშვნელოვანები ხიდი გასდონ ადგილობრივ თემებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის შემმუშავებლებს შორის, რაც ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის გრძნობას აძლიერებს უსაფრთხოების და მართლმსაჯულების საჭიროებების გადაცემით პოლიტიკის შემმუშავებლებთან, ასევე ადგილობრივ თემებში, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების გზით.

### უსაფრთხოების და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

უსაფრთხოების და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მომსახურების მიწოდებას შემდეგი საშუალებებით აძლიერებს:

- უსაფრთხოების სექტორში უფრო წარმომადგენლობითი ინსტიტუციების შექმნა – მაგ. მრავალფეროვანი თანამშრომლების მქონე დაწესებულებებისა, რაც იმ მოსახლეობას ასახავს, რომლის მომსახურებასაც ის ცდილობს. კონკრეტულად კი, უფრო მეტი ქალის დასაქმება, შენარჩუნება და დაწინაურება უსაფრთხოების სამსახურებსა და საზედამხედველო ორგანოებში აღიარებულია როგორც აუცილებელი რამ იმისთვის, რომ ინსტიტუციების მიმართ ნდობა გამყარდეს, მათი მხრიდან რეაგირებას უზრუნველყოფისა და ეფექტურობის მიზნით.
- გენდერული ძალადობის (GBV) პრევენცია უსაფრთხოების სექტორის მიერ ან მასზე რეაგირება (იხილეთ ჩანართი №1). გენდერული ძალადობა გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებული ძალადობაა, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ადამიანთა ტრეფიკინგი და ანტიომოსექსუალური ძალადობა. გლობალურად, სამიდან ერთი ქალი გენდერული ძალადობის მსხვერპლია, რაც ადამიანების უსაფრთხოების

მიმართ ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეები წარმოადგენს<sup>2</sup>. მამაკაცები და ბიჭები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არიან და, შესაძლოა, ქალებთან შედარებით უფრო დიდ ბარიერებს აწყდებოდნენ ამის გაცხადებისა და მართლმსაჯულების მოძიებისთვის.

- თანამშრომლობის მომატება უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის, ქალთა ჯგუფების ჩათვლით. სამოქალაქო საზოგადოებებს შეუძლიათ დამატებითი უსაფრთხოების და სამართლებრივი მომსახურების მიწოდება, ასევე დახმარება უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციების პოტენციალის განვითარების მიზნით ტრენინგის, კვლევის და ექსპერტის რჩევის მეშვეობით გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## ჩანართი 1

**კონფლიქტის შემდგომი სამართლიანობის მექანიზმები სიერა ლეონეში:**  
**სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის ეფექტურად განხილვა<sup>3</sup>.**

შეფასების მიხედვით, სიერა ლეონეში ათწლიანი სამოქალაქო ომის განმავლობაში 250,000-ზე მეტი ქალი გააუპატიურეს. აღნიშნული ომის შედეგად მართლმსაჯულების მექანიზმები იქნა გამოყენებული, როგორიცაა სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლო, „სიმართლის და შერიგების კომისია“ და ტრადიციული სამართლებრივი მექანიზმები. ბევრი დადებითი ნაბიჯი გადაიდგა სპეციალური სასამართლოს მიერ, რათა უზრუნველეყო, რომ სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება ადექვატურად ხდება:

- სექსუალური ძალადობის ვრცელი განმარტების მიღება, სადაც შედის „გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ფეხმძიმობა და სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა“.
- პროგურორისთვის სპეციალური დავალების მიცემა, რომ დევნის გეგმა შეემუშავებინა სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისთვის.
- ორი გამოცდილი ქალი-გამომძიებლის დანიშვნა (10 კაცისგან შემდგარ ჯგუფში), სექსუალური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისთვის.
- გენდერისადმი სენსიტიური ინტერვიუს მეთოდის დანერგვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაზარალებული თავს კომფორტულად გრძნობს და დანაშაულზე საუბარი შეუძლია.
- მოწმის მოზადებაზე ხაზგასმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ

<sup>2</sup> UNIFEM, არც ერთი წუთით მეტი: ქალების მიმართ ძალადობის დასასრული, (UNIFEM: ნიუ იორკი), 2003, გვ. 8.

<sup>3</sup> ბასტიკი, მ. გრიმი, კ. და კუნცი, რ. სექსუალური ძალადობა შეიარაღებულ კონფლიქტებში: გლობალური მიმოხილვა და მოსაზრებები უსაფრთხოების სექტორისთვის, (DCAF: უქნევი), 2007, გვ.159.

მოწმეებს ესმით, თუ ჩვენების მიცემა რას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრეა განსაზღვრული დასკვნების გაკეთება სპეციალური სასამართლოების წარმატების შესახებ, რომლებიც სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს განიხილავენ, სასამართლოს პირველი გადაწყვეტილებები (გამოტანილი 2007 წლის 20 ივნისს), შეიცავს სასჯელის შეფარდებას გაუპატიურებისთვის, როგორც დანაშაულისთვის კაცობრიობის წინააღმდეგ და როგორც სექსუალურ მონობას.

### უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და ანგარიშგალდებულება

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მთავარი ამოცანაა მოახდინოს უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების რეფორმა, რათა ისინი გამჭვირვალე იყოს, პატივი სცეს კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს; ანგარიშგალდებული იყოს დემოკრატიული სამოქალაქო უწყებების მიმართ, როგორიცაა პარლამენტი და მართლმსაჯულების სისტემა. გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველმყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ზედამხედველობას და ანგარიშგალდებულებას შემდეგი საშუალებებით აძლიერებს:

- ქალების, გენდერის ექსპერტების და ქალთა ორგანიზაციების მზარდი მონაწილეობა ოფიციალურ სამეთვალყურეო ორგანოებსა და პროცესებში (იხილეთ ჩანართი №2).
- გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველმყოფი ინიციატივები, რომ მოხდეს უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილება, მასზე რეაგირება და სანქციების დაწესება.

### შესაბამისობა საერთაშორისო კანონებით და ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ გალდებულებებთან

უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში გენდერის საკითხების ინტეგრირების ინიციატივის აღება არა მხოლოდ ოპერაციული ეფექტურობის საკითხია, არამედ ეს ასევე აუცილებელია იმისთვის, რომ შესაბამისობა მოხდეს საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რაც უსაფრთხოებას და გენდერს უკავშირდება. მთავარ ინსტრუმენტებში შედის:

- პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995)
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება 1325, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (2000)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

**როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში?**

დამატებითი ორი სტრატეგია შეიძლება იქნას გამოყენებული გენდერის საკითხების ინტეგრირებისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკასა და პროგრამირებაში:

- გენდერის ძირითადი მიმართულებად დადგენა მოიცავს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკებს და პროგრამებს ქალების, მამაკაცების, ვაჟების და გოგონების მიმართ პოლიტიკის და პროგრამის ციკლის ყველა ეტაპზე, საწყისი შეფასების, დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების ჩათვლით.
- ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერა - იმდენად, რამდენადაც მამაკაცები საკმარისზე მეტად არიან წარმოდგენილნი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებსა და უსაფრთხოების ინსტიტუციებში, საჭიროა ქმედების განხორციელება ქალების ჩართვის, შენარჩუნების და დაწინაურების მიზნით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით.

! მინიშნებები გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველმყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკისთვის

გენდერის ძირითად მიმართულებად დადგენა

- მოიცავს ექსპერტებს გენდერის საკითხებში – როგორიცაა ქალთა სამინისტროების წარმომადგენლები, გენდერის საკითხებში გამოცდილების ქალნები პარლამენტარები და ექსპერტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან - უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკის შემუშავებაში.
- გენდერის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება და იმ გუნდ(ებ)ის პოტენციალის გაზრდა, რომელთა მოვალეობაში შედის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პოლიტიკის პროექტის შემუშავება, განხორციელება და შეფასება (მაგ. გენდერის საკითხებზე ტრენინგის ან ბრიფინგების შეშვეობით).
- „გენდერის ჩემპიონების“ – ე.ი. უმაღლესი დონის გადაწყვეტილების მიმღებების გამოვლენა და მობილიზება, რათა მხარი დაუჭირონ გენდერული საკითხების ინკლუზიას.
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შემოთავაზებული ვარიანტის მიერ გენდერზე ზეგავლენის შეფასება, ასევე მამაკაცებზე, ქალებზე, ვაჟებსა და გოგონებზე პოლიტიკის ზეგავლენის მონიტორინგი და შეფასება.

ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა

- უზრუნველყოფა, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მონაწილეობით და საკონსულტაციო პროცესებზეა დამყარებული, რაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ქალთა და მამაკაცთა ორგანიზაციებიდან.

## ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობა ფიჯის უსაფრთხოების და თავდაცვის მიმოხილვაში<sup>4</sup>

ფიჯიში, ქალთა საკითხების სამინისტროსთან მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს 2003 წლის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის გადასინჯვის პროცესში. ისინი ფიჯის მთავრობის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საკითხების განხილვის კომიტეტს შევდნენ, რათა შემდეგი საკითხები განეხილათ:

- როგორ მიმდინარეობდა განხილვის პროცესი
- ვისთან იმართებოდა კონსულტაციები
- რა საკითხები გამოვლინდა როგორც საფრთხე უშიშროების მიმართ
- როგორ იქნა ინკორპორირებული თავდაცვის პროგრამირებაში  
საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები, როგორიცაა გაერთიანებული  
ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუცია.
- ქალთა ორგანიზაციებმა კონკრეტული რეკომენდაციები შეიმუშავეს,  
როგორიცაა ქალთა სამინისტროს მუდმივი წარმომადგენლობის  
უზრუნველყოფა უშიშროების ეროვნულ კომიტეტში, ასევე ქალთა  
წარმომადგენლობა განყოფილებების და რაიონების უშიშროების  
კომიტეტებში.
- ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა იმ ჯგუფებში,  
რომელთა მოვალეობაში შედის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის  
პოლიტიკების საწყისი შეფასება, მომზადება, განხორციელება,  
მონიტორინგი და საბოლოო შეფასება.

### ! მინიშნებები გენდერის მიმართ რეაგირების უზრუნველყოფი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამის მომზადებისთვის

„კარგად უნდა იქნას გაგებული ქალების როლის მნიშვნელობა მოცემულ  
ტერიტორიაზე სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის... თუ ქალები დღიური  
სარჩოს მომპოვებლები არიან და თავიანთ თახებს საკუთხით და წყლით  
ამარავებენ, იმ ტერიტორიის პატრულირება, სადაც ქალები მუშაობენ,  
უსაფრთხოებას გაზრდის და მათ მუშაობის საშუალებას შეუქმნის. ეს  
ტაქტიკური შეფასებაა... პირობების შექმნა ყოველდღიური ცხოვრების  
ფუნქციონირებისთვის ხასიცოცხლო მნიშვნელობისაა უსაფრთხოების  
პერსპექტივიდან. ეს სტაბილურობის საფუძველს ქმნის“.

ბრიგადირი კარლ ენგელბრექსტონი,  
ჩრდილოური საბრძოლო ჯგუფის ძალოვანი მეთაური<sup>5</sup>

<sup>4</sup> ანდერლინი, ს.ნ. და კოუნვეი, ს.პ. „უსაფრთხოების სისტემის რეფორმა“, ინკლუზიური  
უსაფრთხოება, მდგრადი მშეიძლობა: სახელმძღვანელო ადგომატიკურებისა და ქმედებისთვის,  
საერთაშორისო შეტყობინება და ინიციატივა ინკლუზიური უსაფრთხოებისთვის, 2004, გვ. 37.

გენდერის საკითხები ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამის მოსამზადებელ ჩარჩოში უნდა იქნას ჩართული:

- **ამოცანები:** შედის თუ არა ამოცანებში უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მომსახურების გაუმჯობესება ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, ვაჟებისა და გოგონებისთვის? უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები უფრო წარმომადგენლობითი და მონაწილეობრივია? უფრო მეტია ანგარიშვალდებულება და ადამიანის უფლებების ნაკლებად დარღვევა?
- **ბენეფიციარები:** უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ბენეფიციარები ნათლად გამოვლენილი არიან? ხდება თუ არა ქალების, გოგონების და მარგინალიზებული მამაკაცებისა და ვაჟების ჩართვა?
- **საქმიანობები:** არსებობს თუ არა ინიციატივები, რომლებიც შეეხება ქალების და გოგონების, ასევე მარგინალიზებული მამაკაცების და ვაჟების უსაფრთხოების კონკრეტულ საჭიროებებს? ხორციელდება თუ არა ღონისძიებები ქალების და სხვა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდისთვის უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში? რა ღონისძიებები იმართება ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხის მოსაგვარებლად უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მიერ?
- **შედეგები:** არის თუ არა კონკრეტული შედეგები მიმართული ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟებისადმი? ადგილი აქვს თუ არა ისეთ შედეგებს, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს გენდერული ძალადობის პრევენციაზე, რეაგირებასა და გამოძიებაზე, ასევე ქალთა უფრო მეტად დასაქმებაზე, შენარჩუნებასა და დაწინაურებაზე უშიშროების და მართლმსაჯულების ინსტიტუციებში?
- **ინდიკატორები:** არსებობს თუ არა კონკრეტული ინდიკატორები გენდერთან დაკავშირებული ამოცანების და გენდერული საქმიანობის მიერ მომხდარი ზეგავლენის მონიტორინგისთვის? ეს ინდიკატორები სქესების მიხედვით გაყოფილია?
- **ბიუჯეტი:** გამოყოფილია თუ არა სპეციალური თანხები გენდერული ამოცანების, საქმიანობების და შედეგებისთვის?
- **პარტნიორები:** ქალებისა და მამაკაცების ორგანიზაციები, ასევე გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები მონაწილეობენ თუ არა პოტენციური პარტნიორების სახით? აქვთ თუ არა გამოვლენილ პარტნიორებს ვალდებულება და შესაძლებლობა, რომ სამუშაოს შესრულებისას გენდერზე რეაგირების პრინციპით იმოქმედონ? გენდერთან დაკავშირებით ვალდებულებები და მოლოდინები ნათლად არის გადმოცემული პროგრამულ დოკუმენტებში, შეთანხმებებსა და კონტრაქტებში?

<sup>5</sup> ენგელბრექსტონი, კ. „რეზოლუცია №1325 ეფექტიანობას ამაღლებს“, კარგი და ცუდი მაგალითები: მიღებული გამოცდილება გაერთიანებული ერების №1325 რეზოლუციასთან მუშაობიდან საერთაშორისო მისიებში (Genderforce: უფსალა), 2007, გვ. 29.

## №1 ინსტრუმენტი ასევე მოცემულია

- შეკითხვები გენდერის ზეგავლენის შეფასებისთვის უსაფრთხოების პოლიტიკის მხრივ
- მითითებები გენდერის ინტეგრაციისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საწყის შეფასებაში, მომზადებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებაში
- შეფასების პროცესი სამართალდამცავი სააგენტოებისთვის, რათა უფრო მეტად მოხდეს ქალების დასაქმება და შენარჩუნება
- კარგი პრაქტიკის მაგალითები რეფორმის პროცესებიდან ბრაზილიაში, კონგრეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, სიერა ლეონეში, სამხრეთ აფრიკაში, შვეციასა და გაერთიანებულ სამეფოში.

## კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომ გარემოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმა აუცილებელია კონფლიქტის განმეორების თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამაღლებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებელია რეკონსტრუქციის და განვითარების საქმიანობის დასაწყებად. მაშინ, როცა ყელა კონტექსტი უნიკალურია, არსებობს კონკრეტული გამოწვევები და შესაძლებლობები გენდერის საკითხების ინტეგრაციისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში კონფლიქტის შემდგომ:

### გამოწვევები გენდერის საკითხების ინტეგრაციისთვის

- განიაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის (DDR) პროცესები ხშირად ვერ ახერხებს ქალების და გოგონების ჩართვას.
- ზეწოლას, რომ სწრაფად ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებები, შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ გენდერული საკითხები სათანადო პრიორიტეტულობით არ გამოირჩეოდეს დასაქმების, ტრენინგის და ლოჯისტიკის კუთხით.
- ინფრასტრუქტურის და პოტენციალის ნაკლებობას შეუძლია დააბრკოლოს ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე.
- უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებს ხშირად აკლიათ მოქალაქეების ნდობა ადრე მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, რაც ქალების სამუშაოზე აყვანას უფრო ართულებს.

### ჩანართი №3

#### პოლიციის ქალების მოდერნიზება ნიკარაგუაში<sup>6</sup>

ნიკარაგუის ეროვნული პოლიციის ქალების მოდერნიზება იმის

<sup>6</sup> ფანკი, ა. ლანგი, ჯ.ლ. და ოსტერპაუსი, ჯ. ქალთა და გოგონების წინააღმდეგ ქალადობის დასასრული – ადამიანის უფლებების დაცვა: კარგი პრაქტიკები თანამშრომლობის განვითარებისთვის, (GTZ: ეშბორნი), 2007, გვ. 47-48, ციტირებულია: ბასტიკი, მ. გრიმი, კ. და კუნცი, რ. სექსუალური ძალადობა შეიარაღებულ კონფლიქტებში: გლობალური მიმოხილვა და მოსაზრებები უსაფრთხოების სექტორისთვის, (DCAF: უნევა), 2007, გვ. 150-151.

დემონსტრირებას ახდენს, თუ რამდენად მოაქვს სარგებელი გენდერის ძირითად მიმართულებაში ჩართვის ინიციატივას და ქალთა მონაწილეობის გაზრდას. ნიკარაგუის პოლიციაში ფართომასშტაბიანი გენდერული რეფორმა 1990-იან წლებში დაიწყო ნიკარაგუაში ქალთა მოძრაობის და პოლიციაში მომუშავე ქალების ზეწოლის შედეგად. პროექტს მხარს გერმანიიც განვითარების ორგანიზაცია (GTZ) უჭერდა და მის ფარგლებში კონკრეტული ინიციატივები განხორციელდა, როგორიცაა:

- ტრენინგი გენდერული ძალადობის თემაზე პოლიციის აკადემიებში
- ქალთა პოლიციის განყოფილებების გახსნა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობით მთელ რიგ მომსახურებას აწვდიან ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს
- დასაქმების კრიტერიუმების რეფორმირება, რაშიც შედის ქალებზე მომართული სპეციციკური ფიზიკური ტრენინგი, ასევე სიმაღლის და ფიზიკური ვარჯიშის მოთხოვნების ადაპტაცია ქალებისთვის
- პოლიტიკა, რაც შესაძლებლობას უქმნის პოლიციელებს თავიანთი სამუშაო ოჯახურ ცხოვრებას შეუთავსონ
- *Consejo Consultivo de Género-*ს, როგორც სადისკუსიო და საგამოძიებო ფორუმის ჩამოყალიბება ქალი პოლიციელების სამუშაო პირობებში.

დღესდღეობით ნიკარაგუაში პოლიციელთა 26% ქალია, რაც მსოფლიოში ქალი პოლიციელების ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ნიკარაგუის პოლიციის სამსახური რეგიონში ხასიათდება როგორც „ქალთა მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი“ და მიესალმებიან მის წარმატებულ ინიციატივებს სექსუალური ძალადობის საკითხებზე მუშაობის მიმართ. რეფორმების დახმარებით პოლიციამ ასევე შესძლო მოეპოვებინა ლეგიტიმურობა და დამაჯერებლობა საზოგადოების თვალში: ნიკარაგუაში ახლახან გამართულ ინსტიტუციების „იმიჯის რეიტინგში“ პოლიციამ მეორე ადგილი დაიკავა კათოლიკური ეკლესიის შემდეგ.

### შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის

- უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების სრულმასშტაბიანი რეფორმა ქმნის შესაძლებლობას, რომ გადაისინჯოს უსაფრთხოების პოლიტიკები და პროტოკოლები გენდერის მიმართ უფრო მეტი რეაგირებისთვის; ადამიანის უფლებების დარღვევის, მათ შორის გენდერულ ძალადობაზე მომუშავე ვეტერანი პერსონალი უზრუნველყოფს ტრენინგს გენდერის საკითხებზე ახალგაზრდა პერსონალისთვის და ნათელ სამიზნეებს ისახავს ქალების დასაქმებისა და შენარჩუნებისთვის.
- განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის (DDR) პროცესები შეიძლება პოტენციური საწყისი წერტილი იყოს გენდერული საკითხების განხილვისთვის – მაგ. გენდერული ძალადობის პრევენციის ტრენინგის გამართვით ყოფილი მებრძოლი მამაკაცებისთვის.
- გენდერული როლების ცვლილებამ შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში შეიძლება ხელი შეუწყოს ქალთა დაქირავებას, ყოფილი

მებრძოლი ქალების ჩათვლით, შეიარაღებულ ძალებში, ასევე გაზარდოს ქალთა მონაწილეობა საჯარო გადაწყვეტილების მიღებაში.

- სამშვიდობო საქმიანობასა და თემის დონეზე უსაფრთხოების ინიციატივებში ქალთა ორგანიზაციების ჩართვაშ შეიძლება ძლიერი პარტნიორული როლი შეასრულოს გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში.
- საერთაშორისო დაწესებულებებს და დონორებს შეუძლიათ რესურსები უზრუნველყონ გენდერისადმი რეაქციული უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მხარდასაჭერად.

? გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შეფასებისთვის

გენდერი შეიძლება უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სხვადასხვა ტიპის საწყის შეფასებაში, მონიტორინგსა და საბოლოო შეფასების პროცესში იქნას ინტეგრირებული, სიზუსტის და შესაბამისობის გაზრდისთვის. მთავარი შეკითხვები შეიძლება იყოს:

- რა არის მამაკაცების, ქალების, გოგონებისა და ვაჟების განსაკუთრებული, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებები, აღქმები და პრიორიტეტები?
- შეუძლიათ თუ არა ქალებს, მამაკაცებს, ვაჟებსა და გოგონებს ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების მომსახურებებზე?
- არის თუ არა უსაფრთხოების კანონმდებლობა, პოლიტიკები და პროგრამები გენდერის მიმართ რეაგირების პოტენციალის მქონე? არსებობს თუ არა აღექვატური კანონმდებლობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ? ხდება თუ არა შიდა ქცევის კოდექსების და სექსუალური შევიწროების პოლიტიკების განხორციელება და მონიტორინგი?
- არის თუ არა აღექვატური დაფინანსება და პროგრამირება გენდერული ძალადობის პრევენციისთვის, მასზე რეაგირებისა და სანქციების გამოყენებისთვის?
- აქვს თუ არა უსაფრთხოების სექტორის პერსონალს პოტენციალი, რომ მოახდინოს გენდერული საკითხების ინტეგრირება თავის ყოველდღიურ სამუშაოში? იმართებოდა თუ არა მათთვის აღექვატური ტრენინგი გენდერის საკითხზე?
- რამდენი მამაკაცი და ქალი მუშაობს უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში, რა თანამდებობაზე და როგორია თანამდებობრივი დაქვემდებარება?
- როგორია სამუშაო გარემო უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში? ხომ არ არის სქესობრივ შევიწროებასთან, ან ადამიანის სხვა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები?
- უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობით ორგანოში არის თუ არა წარმოდგენილი ქალები, ხდება თუ არა კონსულტაციების გამართვა ქალთა ორგანიზაციებთან, ან მონიტორინგი გენდერულ ძალადობაზე?

- გენდერზე რეაგირების მხრივ რა სახის უსაფრთხოების და მართლმსაჯულების ინიციატივები არსებობს ამ ეტაპზე ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე?
- რომელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუშაობენ უბან გენდერის და უსაფრთხოების საკითხებზე და როგორ შეიძლება ამ ინიციატივების მხარდაჭერა?

## **დამატებითი ინფორმაცია**

### **რესურსები**

ანდერლინი, ს.ნ. და კოუნვეი, ს.პ. „უსაფრთხოების სისტემის რეფორმა“, ინკლუზიური უსაფრთხოება, მდგრადი მშვიდობა: სახელმძღვანელო ადგომატირებისა და ქმედებისთვის, 2004წ.

ნათანი, ლ. უსაფრთხოების სისტემის რეფორმის ადგილობრივი მესაკუთრეობა: სახელმძღვანელო დონორებისთვის, 2006წ.

გალასეკი, პ. - „გენდერი და დემოკრატიული უსაფრთხოების მმართველობა“, სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უსაფრთხოების სექტორზე საზოგადოებრივი ზედამხედველობისთვის, UNDP & DCAF (გამოქვეყნდება ივლისში 2008წ).

GTZ - გენდერი და მოქალაქეთა უსაფრთხოება: რეგიონული ტრენინგის მოდული – საბაზისო ტექსტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები, 2005წ.

OECD DAC - OECD DAC სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმისთვის: უსაფრთხოების და მართლმსაჯულების მხარდაჭერა, 2007წ.

### **ორგანიზაციები**

უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრი (Centre for Security Sector Management) – [www.ssronline.org](http://www.ssronline.org)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის უნივერსიტეტი (DCAF): „გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროექტი“ (Gender and SSR Project) – [www.dcaf.ch/gender-securitysector-reform](http://www.dcaf.ch/gender-securitysector-reform)

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის გლობალური მხარდაჭერის ქსელი (Global Facilitation Network for SSR) – [www.ssrnetwork.net](http://www.ssrnetwork.net)

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) – [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)

გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM)პორტალი ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ [www.womenwarpeace.org](http://www.womenwarpeace.org)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW): გენდერი და

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა (Gender and SSR) –  
[www.uninstraw.org/en/gps/general/gender-and-security-sector-reform-5.html](http://www.uninstraw.org/en/gps/general/gender-and-security-sector-reform-5.html)

WiLPF: „მშვიდობის ქალები“ (PeaceWomen) – [www.peacewomen.org](http://www.peacewomen.org)

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი
5. სასჯელადსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

[www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch) [www.un-instraw.org](http://www.un-instraw.org) და [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr).

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია მუგიჭო ტაკეშიტა, DCAF, კრისტინ ვალასეკის, DCAF, მიერ მომზადებული №1 ინსტრუმენტის საფუძველზე.